საქართველოს
ენერგეტიკული ბირჟა

ელექტროენერგიის ვაჭრობა ბირჟაზე

2025 წლის პირველ კვარტალი

ბირჟის მონაწილეები

2025 წლის 31 მარტის მონაცემებით დღით ადრე აუქციონში მონაწილეობისათვის ბირჟაზე რეგისტრირებული იყო 21 მონაწილე. რეგისტრირებული მონაწილეების სია, ბაზრის წესების შესაბამისად, გამოქვეყნებულია სენბის ვებ-გვერდზე.

ნახაზი 1. 2025 წლის 31 მარტის მდგომარეობით ბირჟაზე რეგისტრირებული მონაწილეები

ბირჟაზე ელექტროენერგიის ვაჭრობა

2025 წლის პირველ კვარტალში ვაჭრობა შედგა 11-14 მარტის მიწოდების დღეებისთვის. ნახაზზე №2 მოცემულია დღით ადრე ბაზარზე ყოველი საათისათვის ნავაჭრი ელექტროენერგიის რაოდენობა და ჩამოყალიბებული ფასების დინამიკა. ბირჟაზე ვაჭრობის შედეგების შესახებ დეტალური საჯარო ინფორმაცია შეგიძლიათ იხილოთ სენბის ვებგვერდზე.

ბირჟაზე მარტის თვეში ნავაჭრმა რაოდენობამ 1789,4 მგვტ.სთ შეადგინა. ელექტროენერგიის საშუალო შეწონილი ფასი ჩამოყალიბდა 150.79 ლარი/მგვტ.სთ. ამავე პერიოდში საბალანსო ელექტროენერგიის ფასი - 167.2 ლარი/მგვტ.სთ. საბოლოოდ, მონაწილეებმა ბირჟაზე ვაჭრობის შედეგად, საბალანსო ელექტროენერგიის ფასთან შედარებით დაზოგეს დაახლოებით 30 000 ლარი.



ნახაზი 2. დღით აღრე ბაზარზე ელექტროენერგიით ვაჭრობის დინამიკა

პირველი კვარტლის განმავლობაში ყველაზე დიდი მოთხოვნა დაფიქსირდა 21 თებერვალს - 2,430.2 მგვტ/სთ, რაც დღის განმავლობაში მთელი მოთხოვნის (47,153 მგვტ/სთ) 5,2%-ს შეადგენდა.

ნახაზზე №3 მოცემულია თვეების მიხედვით აგრეგირებული ჯამური მოთხოვნა და მიწოდება, ჩაშლილი გაყიდულ და გაუყიდავ ნაწილებად.



ნახაზი 3. მოთხოვნა-მიწოდება ბირჟაზე